


Thomas-Charles Fleuriau (თომას-შარლ ფლერიო, 1651-1735) - ფრანგი იეზუიტი მისიონერი, რომელიც წლების განმავლობაში ეწეოდა რელიგიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას. მისი პუბლიკაციებიდან, რომლებიც ძირითადად მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მყოფი იეზუიტი მისიონერების მიერ შედგენილ წერილებს და ჩანაწერებს ეყრდნობა, გამორჩეულია 1694 წელს, პარიზში გამოცემული ნაშრომი: *“Estat present de l'Arménie, tant pour le temporel que pour le spirituel”*,¹ რომელიც სომხეთისა და სომეხი ხალხის შესახებ არაერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობას შეიცავ. მართალია, ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კათოლიკე მისიონერების საქმიანობის გაშუქებაა, თუმცა სომხეთში ახლად დაარსებულ მისიაზე მსჯელობისას ავტორი უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სომხეთის ისტორიის და გეოგრაფიის, სომეხი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის შესახებ.



¹ Thomas-Charles Fleuriau d'Armenonville, *Estat present de l'Arménie, tant pour le temporel que pour le spirituel*, Paris, 1694, სომხეთის ამჟამინდელი მატერიალური და სულიერი მდგომარეობა.

სომხეთის შესახებ:

« Il est peu de nations au monde qui aient de meilleures qualités que la nation Arménienne. On remarque par tout que les Arméniens ont un grandfond de bon sens et de prudence. Ils parlent peu, consultent beaucoup; aussi sont-ils fort habiles dans le maniment des affaires. Ce sont eux qui font tout le commerce en Orient et qui contribuent beaucoup à celui qui se fait en plusieurs grandes villes de l'Europe. »²

„მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ბევრი ისეთი ერი, რომელსაც სომეხ ერზე უკეთესი თვისებები აქვს. ყველგან შესამჩნევია, რომ სომხები გონებამახვილი და წინდახედული ხალხია. ისინი ცოტას ლაპარაკობენ და ბევრს ბჭობენ, ამიტომაც ისინი ძალიან მარჯვეები არიან კომერციულ საქმიანობებში. სწორედ ისინი არიან, ვინც მთელი აღმოსავლეთის მასშტაბით ვაჭრობენ და წვლილი შეაქვთ რამდენიმე ევროპული ქალაქის ვაჭრობაშიც.“

•

« Une de leurs plus belles inclinations, est la lecture des bons livres, c'est à cela qu'ils employent une bonne partie des jours de Fetes. Ils lisent sur tout le Nouveau Testament qu'ils sçavent presque tous par coeur, soit parce qu'ils le lisent beaucoup, soit parce que dès l'enfance on le fait apprendre par coeur aux enfants à meme temps qu'ils apprennent à lire...Un étranger est toujours bien reçu chez eux; ils le font un plaisir de le loger et de le traiter. Ils aiment l'hospitalité et la pratiquent avec de grandes demonstrations de joye et d'amitié. Ils ont naturellement beaucoup de Religion; ils s'entretiennent fort volontiers des choses de Dieu; ils sont fort modestes dans l'Eglise et prient Dieu avec de grands sentiments de respects et de devotion. »³

„მათი [სომხების] ერთ-ერთი საუკეთესო მიდრეკილება კარგი წიგნების კითხვაა და სწორედ ამაში ატარებენ დღესასწაულებზე დროის დიდ ნაწილს. ისინი კითხულობენ სრულად ახალ აღთქმას, რომელიც თითქმის ყველამ ზეპირად იცის ან იმ მიზეზით, რომ ისინი ბევრს კითხულობენ, ან იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე

² Ibid, 6.

³ Ibid, 8.

წერა-კითხვის შესწავლის დროს აზვირებინებენ... უცხოებს ყოველთვის კარგად იღებენ საკუთარ სახლში; სიამოვნებით აბინავებენ და მასპინძლობენ. ისინი ძალიან სტუმართმოყვარეები არიან და ასეთ დროს ყოველთვის დიდ სიხარულს ავლენენ. ისინი ღრმად მორწმუნეები არიან და ბევრს საუბრობენ ღვთის საქმეებზე; ისინი ძალიან მოკრძალებულები არიან ეკლესიაში და ლოცვის დროს უფლის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოწიწებას იჩენენ.“

**Un homme veuf ne peut pas épou-
fer une fille en seconde nōces, mais
seulement une femme veuve. Une
femme veuve ne peut pas non plus
épouser un garçon, mais seulement
un homme veuf.**

« Un homme veuf ne peut pas épouser une fille en seconde nocces, mais seulement une femme veuve. Une femme veuve ne peut pas non plus épouser un garçon, mais seulement un homme veuf. »⁴

„დაქვრივებულ კაცს, მეორე ქორწინებაში არ შეუძლია ქალწულთან შეუღლება - მას მხოლოდ დაქვრივებულ ქალთან შეუძლია დაქორწინება. ასევე დაქვრივებული ქალის შემთხვევაში, რომელსაც ქვრივ კაცთან დაქორწინება შეუძლია და შეზღუდული აქვს ვაჟიშვილზე დაქორწინების შესაძლებლობა.“

მთარგმნელი გ. ფერაძე

ქვეყნდება პირველად

⁴ Ibid, 17.